

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი
სათათბიროს სხდომის
ოქმი №5

21.06.2018 წ

სათათბიროს 15 წევრიდან ესწრებოდა 11

დღის წესრიგი :

1. მაგისტრანტთა ინდივიდუალური სამუშაო გეგმების დამტკიცების შესახებ (მ. მშვილდაძე);
2. პროფ. მ. ოქროსაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით (ნ. წერეთელი);
3. მაგისტრანტების მ. ხმალამისა და თ. წულაიას განცხადებების განხილვა (ნ. წერეთელი);
4. პროფ. ნ. ბოკუჩავას განცხადებასთან დაკავშირებით (ნ. წერეთელი);
5. სამაგისტრო სასწავლო კურსის კომპოზიციური მასალების თერმოდინამიკა სილაბუსის ავტორობასთან დაკავშირებით.

მიმდინარე საკითხები

1. მოისმინეს პროფ. მ. მშვილდაძის ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ სატრანსპორტო ფაკულტეტიდან სამაგისტრო პროგრამის გაუქმების გამო, ფაკულტეტზე მობილობით გადმოვიდა ორი სტუდენტი და საჭიროა მათ დაუმტკიცდეთ ინდივიდუალური სამუშაო გეგმები და ხელმძღვანელები.

დაადგინეს: დაუმტკიცდეთ მაგისტრანტებს ინდივიდუალური სამუშაო გეგმები და ხელმძღვანელები წარმოდგენილი სახით:

1. ზურაბ თათარგიორგიშვილს თემაზე „შპს „მარშეს“ წარმოებული სოსისის ეკოქიმიური ექსპერტიზა“ (ხელმძღვანელი ასოც. პროფ. თ. ფალავანდიშვილი);
2. ირაკლი ჩაჩუას თემაზე „გადამუშავებული ხორცპროდუქტების შეფუთვისა და შენახვის პირობების კვლევა“ (ხელმძღვანელი პროფ. გ. დანელია)

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

2. მოისმინეს თავმჯდომარის ნ. წერეთლის ინფორმაცია. მან სათათბიროს წევრებს გააცნო პროფ. მიხეილ ოქროსაშვილის განცხადება მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეობიდან განთავისუფლების შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვას პროფესორებმა: ნ. კუციავამ, მ. მაისურაძემ.

დაადგინეს:1. განთავისუფლებული იქნას პროფ.მ. ოქროსაშვილი მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის სასწავლო-

სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეობიდან და წევრობიდან.

2. მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნას ასოც. პროფესორი ბორის გოგიჩაშვილი.

3. მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის წევრად არჩეული იქნას ასოც. პროფ. ნინო კენჭიაშვილი

დადგენილება მიღებულია ერთხმად

3. მოისმინეს თავმჯდომარის ნ. წერეთლის ინფორმაცია. მან სათათბიროს წევრებს გააცნო მეორე წლის სწავლების მაგისტრანტების მიხეილ ხმალადისა და თამუნა წულაიას განცხადებები, რომლის მიხედვითაც ისინი ითხოვენ სწავლის საფასურის გადავადებას და სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე გასვლას (თან ერთვის).

აზრი გამოთქვას პროფესორებმა მ.მშვილდაძემ; რ. კლდიაშვილმა. მ. მაისურაძემ.

დაადგინეს: დაშვებულ იქნან სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე, მეორე წლის სწავლების მაგისტრანტები მიხეილ ხმალადე და თამუნა წულაია და დაევალოს მენეჯერს, შეუდგინოს მათ სწავლის საფასურის 2018 წლის ბოლომდე სრულად დაფარვის გრაფიკი.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

4. მოისმინეს თავმჯდომარის ნ. წერეთლის ინფორმაცია. მან სათათბიროს წევრებს გააცნო პროფ. ნ. ბოკუჩავას მოხსენებითი ბარათი, რომლის მიხედვითაც იგი ითხოვს პარფიუმერულ-კოსმეტიკური წარმოების ტექნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მომიჯნავედ გამონთავისუფლებული ოთახის სარგებლობაში გადმოცემას სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის სრულყოფილად ჩატარების მიზნით (თან ერთვის);.

აზრი გამოთქვას პროფესორებმა: ნ. კუციავამ; მ. მშვილდაძემ; გ. ლოლაძემ.

დაადგინეს: დაკმაყოფილდეს პროფ. ნ. ბოკუჩავას განცხადება და პარფიუმერულ-კოსმეტიკური წარმოების ტექნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მომიჯნავედ გამონთავისუფლებული ოთახი გადავიდეს მის სარგებლობაში.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

5. მოისმინეს თავმჯდომარის ნ. წერეთლის ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ დეკანის სახელზე შემოვიდა პროფესორ ირინა ბერძენიშვილის განცხადება, რომელიც აღნიშნავს, რომ მისი ავტორობით, 2012 წელს სამაგისტრო პროგრამაში შედგენილი იქნა სილაბუსი „კომპოზიციური მასალების ქიმიური თერმოდინამიკა“ და წლების განმავლობაში კითხულობდა აღნიშნულ კურსს. მისივე ინფორმაციით, იგივე სილაბუსის ავტორად ამჟამად მითითებულია ზ. მესტვირიშვილი და ითხოვს შესაბამის რეაგირებას (თან ერთვის).

აღნიშნულთან დაკავშირებით თავმჯდომარემ სათათბიროს წევრებს გააცნო აგრეთვე ასისტენტ პროფ. ზ. მესტვირიშვილის ახსნა-განმარტებითი ბარათიც, რომლის მიხედვითაც სილაბუსის ზოგადი ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში, მის მიერ დაშვებული იქნა შეცდომა და სილაბუსის ავტორის გრაფაში დარჩა მისი გვარი. ზ. მესტვირიშვილი ითხოვს გასწორდეს აღნიშნული ხარვეზი და სილაბუსში ავტორად კვლავ ჩაიწეროს პროფ. ი. ბერძენიშვილი (თან ერთვის).

დაადგინეს: სილაბუსში „კომპოზიციური მასალების ქიმიური თერმოდინამიკა“, გასწორდეს ხარვეზი და ავტორად ნაცვლად ზ. მესტვირიშვილისა მიეთითოს მისი რეალური შემდგენელის გვარი ი. ბერძენიშვილი.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მიმდინარე საკითხები:

მოისმინეს თავმჯდომარის ნ. წერეთლის ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ 70 წელი შეუსრულდა ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორს მანანა გვერდწითელს, რომელიც რამდენიმე ათეული წელია წარმატებით მოღვაწეობს ტექნიკურ უნივერსიტეტში. თავმჯდომარემ წამოაყენა წინადადება პროფესორი მანანა გვერდწითელი 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ტრადიციულად დაჯილდოვდეს საპატიო დიპლომით და შესაბამისად წახალისდეს მის მიერ დაკავებული თანამდებობის ერთი თვის ხელფასით.

აზრი გამოთქვას პროფესორებმა: რ. კლდიაშვილმა, ნ. კუციავამ, მ. მაისურაძემ, მ. ცინცაძემ.

დაადგინეს: პროფ. მ. გვერდწითელი 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ტრადიციულად დაჯილდოვდეს საპატიო დიპლომით და შესაბამისად წახალისდეს მის მიერ დაკავებული თანამდებობის ერთი თვის ხელფასით.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მოისმინეს პროფ. დ. ერისთავის ინფორმაცია მეორე სასწავლო კორპუსის, მე-6 სართულზე განთავსებულ ზოგიერთი ლაბორატორიის გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებისა და N 605 სალექციო აუდიტორიაში პროექტორის შეკეთების ან შეცვლასთან დაკავშირებით (თან ერთვის).

აზრი გამოთქვას პროფესორებმა: მ. მშვილდაძემ; მ. მაისურაძემ; ნ. კუციავამ.

დაადგინეს: დაევალოს მენეჯერს აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

სათათბიროს თავმჯდომარე, პროფ.

ნ. წერეთელი

მდივანი, პროფ.

მ. მშვილდაძე